ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი N 16

სხდომის ჩატარების დრო:

22 თებერვალი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეთექვსმეტე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, კ.გურული, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 34 წევრიდან - 20 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: მ.რიჟამაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

სულ: 14 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ი.ხახალეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები,

ბატონები: დ.ერემეიშვილი, ი.უგულავა, ქალბატონი თ.დახუნდარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი თ.ბერიშვილი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, ბატონი ზ.წაქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი ი.გიორგაძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.

საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე, სხდომაზე გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „სანამ უშუალოდ სხდომის დღის წესრიგის პროექტის განხილვაზე გადავალთ, მინდა რამდენიმე საკითხზე გავამახვილო თქვენი ყურადღება. არც თუ ისე

დიდი ხნის წინ, მედია საშუალებებშიც და საზოგადოებაშიც, აქტიურად დაიწყო კამპანია მრავალსართულიან კორპუსებში ლიფტის საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენ, საბინაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით, განსაზღვრული გვაქვს ხარჯები ადგილობრივ ბიუჯეტში შესაბამისი პროგრამული მუხლით, რომელიც ითვალისწინებს ლიფტების კეთილმოწყობას, მათ შორის, ამხანაგობის თანამონაწილეობას. აქვე მინდა გითხრათ, რომ ამ მიმართულებით დიდი რესურსია დახარჯული. მოქალაქეებს, მათ შორის, ამხანაგობების წევრებს არაერთხელ მოუმართავთ ჩვენთვის თხოვნით ამ საკითხის მოწესრიგების თაობაზე. საკითხი დგას ასე, რამდენიმე ნაბიჯია საჭირო, რომ საბოლოო შედეგი იქნეს მიღწეული. მათ შორის არის შესაბამისი პროექტის მომზადება, მისი ექსპერტიზა და შემდეგ უშუალოდ პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება. პროექტის მომზადებისა და ექსპერტიზის ნაწილში, ამხანაგობებს უწევთ საკმაოდ დიდი თანხების მობილიზება. ამას ემატება ის პროცენტული ნაწილი, რომელიც უშუალოდ რეაბილიტაციას ეხება. კარგი იქნება თუ ინფრასტრუქტურის სამსახური ამ საკითხს კიდევ ერთხელ შეისწავლის დარგობრივ კომისიასთან ერთად. დაახლოებით, 300 ათას ლარამდეა აღნიშნულ პროგრამაში გათვალისწინებული. გამოვავლინოთ ისეთი ამხანაგობები, სადაც კრიტიკული სიტუაციაა და შესაბამისად, ამ მიმართულებით წავიდეთ. მესმის, რომ ეს ყველაფერი ამხანაგობების განცხადებებთანაა დაკავშირებული და კარგი იქნება თუ ამ საკითხს შევისწავლით. გარდა იმისა, რომ არსებობს პასუხისმგებლობა საკუთრების ნაწილში, ჩვენ ვფიქრობთ, მოქალაქეებს ხელი უნდა შევუწყოთ ამ პროგრამის განხორციელებაში.

აქვე მინდა გაუწყოთ, რომ საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს წევრების სახელზე შემოვიდა წინადადება, რომელიც ეხება სპეციალური სერვისების მოსამსახურეთა ნაწილს, რომლებიც გარკვეულ სატარიფო შეღავათს ითხოვენ და ეს ეხება სატრანსპორტო მომსახურებით სარგებლობას. დიდთოვლობის დროს ვნახეთ მათი შრომა. ეს ადამიანები 24 საათის განმავლობაში ემსახურებიან ქალაქს. ნამდვილად იმსახურებენ მადლობას ჩვენი მხრიდან. ვფიქრობ, ამ საკითხზე შეიძლება მსჯელობა. ბატონო იუზა, ბატონო მერო, გარკვეულად რაღაც ფორმით შევჯერდეთ. მესმის, რომ საკმაოდ რთულია ეს პროცესი. მათ შორის, ფინანსურ ფაქტორთან დაკავშირებით,

დამატებით შეიძლება მოგვიწიოს სუბსიდირება, თუმცა, აქ შეგვიძლია განვიხილოთ ორი საკითხი, მაგალითად, შეიძლება მოხდეს სპეციალური სერვისის სუბსიდირება, ან ამ მომსახურების ყიდვა სპეციალური სერვისებისაგან, ან ჩვენ უნდა მოვახდინოთ იმ 30 ათას მოქალაქესთან ერთად, დამატებით, ამ ადამიანების ტრანსპორტის ღირებულების სუბსიდირება. კარგი იქნება, ამ საკითხებზე საკრებულოს შესაბამისი კომისია აღმასრულებელ რგოლთან ერთად რაღაც პროცესებზე შევჯერდეთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი:** „გუშინ, 21 თებერვალს, 102 წლის გახდა ჩვენი კონსტიტუცია. ეს იყო უმნიშვნელოვანესი აქტი ქართული სახელმწიფოს ისტორიაში. მე, როგორც ქალი და როგორც ქუთაისელი, სიამაყით ვიტყვი, რომ ამ კონსტიტუციას ხელს აწერდა სულ ხუთი ქალი. მათგან ორი ქუთაისელი იყო. ამიტომ მინდა მოგილოცოთ ის ღირებულებები, რომელიც იმთავითვე კონსტიტუციამ აღიარა და რომელიც დღესაც არ არის ბევრ სახელმწიფოში გააზრებული და აღიარებული. იმ კონსტიტუციამ მიანიჭა ქალებს ასევე ხმის უფლება და ეს მინდოდა აღმენიშნა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „როდესაც ვსაუბრობთ რაღაც ღირებულებებზე, ალბათ, ეს არის საუკეთესო მაგალითი, რა ღირებულებებს ვთავაზობთ ჩვენ ჩვენს დასავლელ პარტნიორებს და ევროკავშირს და რატომ გვსურს ინტეგრაცია. ჩვენ გვაქვს ისტორია, რომელსაც აქვს შესაბამისი აქტი, საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც არის აბსოლუტურად ღირებულებებზე დაფუძნებული.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-16 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ 2023 წლის 22 თებერვლის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, 2023 წლის 22 თებერვლის წერილობითი მომართვის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-16 სხდომის დღის წესრიგის პროექტს დაემატა საკითხი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში**

არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), უზუფრუქტის ფორმით, მოქალაქე ლია კიკალიშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-16 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ზვიად წაქაძე
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული
პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“
ზედამხედველობის განყოფილების უფროსი

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა

და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: დავით რეხვიაშვილისა და გივი რეხვიაშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: მარიზ ტყემალაძის, არსენ ჭოლაძის, გიორგი კოხრეიძის, ეთერ ყუფარაძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სთარქი საქართველო სმენის ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), უზუფრუქტის ფორმით, მოქალაქე ლია კიკალიშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს მე-16 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.რიჟამაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-16 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2023 წლის 22 თებერვლის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით ჩამოყალიბებული ძირითადი დადგენილების მე-7 მუხლის რედაქციიდან ამოღებულ იქნა 55[5] მუხლი. ამავე მუხლის რედაქცია გასწორდა სტილისტურად, ამასთან, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლების ჩამონათვალი დალაგდა თანმიმდევრობით),** ცვლილებით წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული)

იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა, ბატონმა **ზვიად წაქაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.რიჟამაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით (ერთხმად), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ ზედამხედველობის განყოფილების უფროსის, **ზვიად წაქაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 თებერვლის **№ 59 დადგენილების** პროექტში.

(„საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №59** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული**

არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.რიჟამაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ **დადგენილება № 60** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2023 წლის 22 თებერვლის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების პროექტის პრეამბულაში „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში, სიტყვა: „საქართველოს“ შემდეგ, ჩაემატა სიტყვა: „ორგანული“)**, ცვლილებით წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა**.

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „მესამე ძალა“): „გუშინ, კომისიის სხდომაზე განვიხილეთ ეს საკითხი და ითქვა, რომ ინდივიდუალური მიდგომა იქნება გადახდის განწილვადებაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „აქ საუბარი იყო განწილვადების სხვადასხვა პრინციპზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „მესამე ძალა“): „კიდევ გავიმეორებ, სხდომაზე გაჟღერდა, ინდივიდუალური მიდგომა იქნება, ვის განუწილვადდეს და ვის არა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თ.ბერიშვილი**: „ყველა აუქციონი განწილვადების წესით არ გამოცხადდება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „პრივატიზაციას არეგულირებს ორი წესი: გეგმა და ნუსხა. გეგმა არსებობს, როგორც პირობიანი, ისე უპირობო. პირობიანში ჩაიდება, თუ რამდენ წელზე იქნება გადანაწილებული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „აი მაგალითად, ფსიქიატრიული საავადმყოფოს შენობა სამჯერ გამოვიტანეთ აუქციონზე და არ გაიყიდა. ახლა ვაპირებთ, პირობით გამოვაცხადოთ, მაგრამ მყიდველმა უნდა გადაიხადოს 2 წელიწადში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ეს საკითხი ორგანული კანონით და მთავრობის დადგენილებით მხოლოდ კონკრეტულ სფეროს ეხებოდა. დისკრეცია ქონდა მერს, თუ კონკრეტულ შენობას ბიზნესმენი სასტუმროსათვის გამოიყენებდა, მერიას შეეძლო ესარგებლა დისკრეციით და განეწილვადებია ეს თანხა, რომელიც კონკრეტული ქონების ღირებულებას წარმოადგენდა. ამ წესში შეგვაქვს ცვლილება, ნებისმიერ ქონებაზე, საკრებულოს თანხმობის გარეშე, მათ შორის, სასტუმრო ბიზნესზე, ვერ გაასხვისებს ვერავინ აუქციონის წესით ქონებას, თუ არ ექნება საკრებულოს თანხმობა. ნამდვილად არის პრიორიტეტი სასტუმროების ქსელის განვითარება, მაგრამ გარკვეული პირობა არ უნდა არსებობდეს კონკრეტული ბიზნეს სექტორისათვის. თანაბრად უნდა განვითარდეს და ადგილობრივმა თვითმმართველობამ თანაბრად უნდა შევუწყოთ ხელი, რომ თანაბარი შესაძლებლობა არსებობდეს ნებისმიერი ბიზნეს სექტორისათვის, თუმცა, ამას უნდა

ახლდეს დასაბუთება, გარანტია და ასე შემდეგ, რაც უშუალოდ საკრებულოს განსახილველი თემა იქნება ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაზე, როგორც გეგმის, ისე ნუსხის ნაწილში, რომელიც ორივე პრივატიზებას ეხება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.რიჟამაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 თებერვლის **№61 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №61** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის -**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30**

მარტის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.რიჟამაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება № 166** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 22 თებერვლის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი. გასწორდა განკარგულების პროექტის მუხლების ნუმერაცია),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა**.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „მესამე ძალა“): „რა მდგომარეობაშია ამჟამად ეს შენობა-ნაგებობა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თ.ბერიშვილი**: „შენობა ჯერ-ჯერობით არ ფუნქციონირებს. რომ შევა შენობა ექსპლოატაციაში, პარკინგი საჭირო გახდება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „მესამე ძალა“): „რა დროში უნდა შევიდეს ექსპლუატაციაში?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „არის კონკრეტული სექტორი - მესაკუთრე კონკრეტული ქონების. ეს ქონება მდებარეობს ახალგაზრდობის გამზირზე. სურვილი აქვს შესაბამისი სფეროს წარმომადგენელს, ააშენოს სამედიცინო დაწესებულება. ამისთვის მას სჭირდება მოთხოვნებიდან გამომდინარე, გარკვეული ფართი, მათ შორის პარკირებისათვის. ეს ადამიანი შემოვიდა კეთილსინდისიერად. ამ საკითხზე გვქონდა მსჯელობა წინა პერიოდშიც. მას სურვილი აქვს განახორციელოს ინვესტიცია. შუამდგომლობით მოგვმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ. ამ პიროვნებას აქვს სურვილი თავ - კისრის ონკოლოგიის ცენტრის მშენებლობა მოახდინოს. იმისათვის, რომ ამას მიაღწიოს, მას აქვს დასაკმაყოფილებელი ჯანდაცვის სამინისტროს მოთხოვნები. ერთ-ერთ მოთხოვნად უწერია, რომ მას ქონდეს გარკვეული რაოდენობის პარკინგი. გარდა ამისა, მეცნიერებათა აკადემიის წერილში ჩამოყალიბებულია მისია, სტატისტიკური მონაცემები, რომელიც არის დასაბუთებული, რომ ამ ტიპის სერვისის მისაღებად დასავლეთ საქართველოში, იმერეთიდან და დასავლეთ საქართველოდან უწევთ თბილისში გამგზავრება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „მესამე ძალა“): „ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ კითხვის ნიშნები რომ არ გაჩნდეს, ჩვენი ამომრჩეველი გვისმენს, გაიგოს მოსახლეობამ რა გადაწყვეტილებას იღებს საკრებულო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თუ გეოგრაფიას შევხედავთ, სად ითხოვს ეს ადამიანი პარკინგისათვის მიწას, რეალურად ეს ადგილი იზოლირებული პარკინგისათვის ვერ გამოდგება, რადგან მდებარეობს შენობის უკან და კონკრეტულად მასზეა გათვლილი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე: ქალბატონი **მ.ჩიხლაძე** „ნამდვილად მისასალმებელი ფაქტია, რადგან იგეგმება ადრეული თერაპიის ცენტრის გახსნა. ეს იქნება არამარტო დასავლეთ საქართველოში, არამედ, ამიერკავკასიაში ერთ-ერთი მძლავრი ცენტრი. მეორე

მნიშვნელოვანი საკითხი, ადრეული დიაგნოსტიკა ონკოლოგიური დაავადების, ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანისათვის. ეს იქნება ხელმისაწვდომი მთელი აჭარის რეგიონისათვის, აფხაზეთისათვის, სამეგრელოსათვის. მე მადლიერების გრძნობა მაქვს, რომ იმ დონის სპეციალისტმა, როგორიც კოტე მარდალეიშვილია, ამხელა ინვესტიციის მოძიება შეძლო და უნდა ეს მიმართულება განავითაროს. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია ჩვენს ქალაქში."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დ.მხეიძე:** „მე მინდა, რამდენიმე საკითხს გავუსვა ხაზი. იმერეთში ონკოლოგიის ვიწრო სფეროებია განვითარებული, მაგალითად, ყბა-სახე. ასეთი ცენტრი ძალიან მნიშვნელოვანია დასავლეთ საქართველოში და რატომ? ამ მთავრობამ ნაბიჯები გადაგა ონკოლოგიის მიმართულებით. პრაქტიკულად, უფასოა მკურნალობა. არიან სოციალურად დაუცველები, რომლებსაც საშუალება არ აქვთ, რომ თბილისში წავიდნენ და მიიღონ ის სერვისი, რომელიც არ არის დასავლეთ საქართველოში. ახლა უკვე საშუალება არსებობს, რომ მოხდეს პრევენცია და პროცესების კუპირება. რაც შეეხება პარკინგს, თუ იქ არ მიდიხარ მიზნობრივად, პარკირებას აზრი არ აქვს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ზ.მამასახლისი**: „ბატონი კობას ეჭვს ჩვენც ვიზიარებთ. აქ ბატონ კობას არ დაუყენებია ეს საკითხი ეჭვქვეშ. თუმცა, ეჭვი გამოირიცხება თავშივე, ვინაიდან ამ პიროვნებას სერიოზული თანხა აქვს გადახდილი ამ ქონებაში. მის ინტერესებში შედის, რაც შეიძლება მალე აშენდეს კლინიკა და ამისათვის საჭიროა პარკირების ადგილი. პარკირება ესაჭიროება პატარა მაღაზიას, არათუ ასეთი მნიშვნელობის სამედიცინო ცენტრს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.ნადირაძე:** „იშვიათად მახსენდება საკითხი, რომელიც ამდენი მსჯელობის თემა გამხდარიყო. ჩვენ საქმე გვაქვს ონკოლოგიის იმ მიმართულებასთან, რომელიც ჩვენ ქალაქში არ არის ისე განვითარებული, როგორც უნდა იყოს. საქმე გვაქვს სერიოზულ

გუნდთან, პროფესორი მარდალეიშვილის ხელმძღვანელობით და მე მწამს, რომ იქ მძლავრი სამედიცინო დაწესებულება დაფუძნდება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.რიჟამაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 თებერვლის **№167 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება № 167** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-6 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: დავით რეხვიაშვილისა და გივი რეხვიაშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის**

მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 22 თებერვლის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი),** ცვლილებით წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა**.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.რიჟამაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 თებერვლის **№168 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: დავით რეხვიაშვილისა და გივი რეხვიაშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება № 168** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-7 საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: მარიზ ტყემალაძის, არსენ ჭოლაძის, გიორგი კოხრეიძის, ეთერ ყუფარაძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სთარქი საქართველო სმენის ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 22 თებერვლის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი; განკარგულების პროექტის დანართის სათაურში სიტყვა: „ქონების“ წინ, დაემატა სიტყვა: „უძრავი“; ამავე დანართის პირველი პუნქტის გასწვრივ, მე-4 პუნქტში (მისამართი), საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ავტომშენებლის გამზირის ნაცვლად, ჩაიწერა ავტომშენებლის ქუჩა)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა**.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.რიჟამაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 თებერვლის **№169 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: მარიზ ტყემალაძის, არსენ ჭოლაძის, გიორგი კოხრეიძის, ეთერ ყუფარაძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სთარქი საქართველო სმენის ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**განკარგულება № 169** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-8 საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით),უზუფრუქტის ფორმით, მოქალაქე ლია კიკალიშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა**.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ე.არჩაია** (პარტია „გახარია-საქართველოსათვის“): „კომისიის სხდომაზე არ იყო ეს საკითხი დღის წესრიგში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მერი შემოვიდა წინადადებით, საკითხი ეხება ცისფერყანწელთა ქუჩაზე, ყოფილი რესტორან „იმერეთის“ ფართს, რომელიც არის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. ეს ფართი წლების განმავლობაში იყო დავის საგანი, თუმცა, მუნიციპალურ საკუთრებაში რჩება. მერიამ მოგვმართა წინადადებით, რომ ეს ფართი გაიჯარდეს, გადავცეთ იჯარით კონკრეტულ ბიზნეს სუბიექტს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „ეს საკითხი, რატომ არ გამოვიდა გუშინ კომისიის სხდომაზე და რამდენად ქირავდება ფართი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი**:: „176 ათას 280 ლარი წლიური ქირა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ამ ქონებაზე იყო სასამართლო დავა. ეს დავა დასრულდა და სასამართლომ ეს ქონება აღიარა ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებად. დამატებით არსებობს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ქონების ადრინდელმა მფლობელმა

მიმართა შესაბამის ორგანოს. ეს დავა მიმდინარეობს სამართალდამცავ სტრუქტურებში წლების მანძილზე. საკუთრება არის ადგილობრივი თვითმმართველობის. ქონება არის განუკარგავი და იქედან ბენეფიტი ადგილობრივ თვითმმართველობას არ გააჩნდა 12 წლის მანძილზე. ვინაიდან, შემოსავალი ძალიან დიდია, მოვახდინოთ ამ შენობის გაიჯარება და ვინაიდან, არსებობს სამართლებრივი პროცესები, რომელიც მიმდინარეობს შესაბამის სტრუქტურებში, თავი შევიკავეთ პრივატიზებისაგან. ეს გადაეცეს იჯარის უფლებით და არა საკუთრების უფლებით. ასევე საკმაოდ ბევრ მოქალაქეს შემიძლია განახოთ წერილი, რომლებსაც აქვთ ანტისანიტარიისა და შენობის კონსტრუქციის პრობლემა, რომლებიც შენობის უკან ცხოვრობენ. ამ გადაწყვეტილების მიზანია, რომ ქონების გაიჯარების პირობებში მოხდეს ინვესტირება. ჩვენ გვქონდა ყველა შესაძლებლობა, რომ ამ საკითხის ირგვლივ გვემსჯელა ბიუროს ფორმატში. საკითხი გუშინ სრულად არ იყო მზად კომისიური განხილვისათვის, როდესაც მომზადდა, რეგლამენტისა და შესაბამისი წესის დაცვით, დაემატა დღის წესრიგს ბიუროს სხდომაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „176 ათასი ლარი მცირე თანხა არაა? რამდენია ფართი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „811 კვადრატია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.რიჟამაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს 2-მა წევრმა, ქალბატონმა ე.არჩაიამ და ბატონმა კ.გურულმა) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მერვე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), უზუფრუქტის ფორმით, მოქალაქე ლია კიკალიშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება № 170** ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-16 სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს მე-16 სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-16 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Shengelia Digitally signed by Irakli Shengelia DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE Date: 2023.06.22 12:06:47 +04'00' ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ე.არჩაია** (პარტია „გახარია-საქართველოსათვის“): „კომისიის სხდომაზე არ იყო ეს საკითხი დღის წესრიგში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მერი შემოვიდა წინადადებით, საკითხი ეხება ცისფერყანწელთა ქუჩაზე, ყოფილი რესტორან იმერეთის ფართს, რომელიც არის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. ეს ფართი წლების განმავლობაში იყო დავის საგანი, თუმცა მუნიციპალურ საკუთრებაში რჩება. მერიამ მოგვმართა წინადადებით, რომ ეს ფართი გავაიჯაროთ, გადავცეთ იჯარით კონკრეტულ ბიზნეს სუბიექტს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** („ქართული ოცნება“):: „ეს საკითხი, რატომ არ გამოვიდა გუშინ კომისიის სხდომაზე და რამდენად ქირავდება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თ.ბერიშვილი**:: „176 ათას 280 ლარი წლიური ქირა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ამ ქონებაზე იყო სასამართლო დავა, ეს დავა დასრულდა და სასამართლომ ეს ქონება აღიარა ადგილობრივმა თვითმმართველობამ საკუთრებად. დამატებით არსებობს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ქონების ადრინდელმა მფლობელმა მიმართა შესაბამის ორგანოს. ეს დავა მიმდინარეობს სამართალდამცავ სტრუქტურებში წლების მანძილზე. საკუთრება არის ადგილობრივი თვითმმართველობის. ქონება არის განუკარგავი და იქედან ბენეფიტი ადგილობრივ თვითმმართველობას არ გააჩნია 12 წლის მანძილზე. ვინაიდან შემოსავალი ძალიან დიდია, მოვახდინოთ ამ შენობის გაიჯარება და ვინაიდან არსებობს სამართლებრივი პროცესები, რომელიც მიმდინარეობს შესაბამის სტრუქტურებში, თავი შევიკავეთ პრივატიზებისაგან. ეს გადაეცეს იჯარის უფლებით და არა საკუთრების უფლებით. ასევე საკმაოდ ბევრ მოქალაქეს, შემიძლია განახოთ წერილი, რომლებსაც აქვთ ანტისანიტარიის და შენობის კონსტრუქციის პრობლემა, რომლებიც შენობის უკან ცხოვრობენ. ამ გადაწყვეტილების მიზანია, რომ ქონების გაიჯარების პირობებში მოხდეს ინვესტირება ამ ქონებაში. ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობა, რომ ამ საკითხის ირგვლივ ვიმსჯელოთ ბიუროს ფორმატში. საკითხი გუშინ სრულად არ იყო მზად კომისიური განხილვისათვის, როდესაც მომზადდა, ეს საკითხი რეგლამენტის და შესაბამისი წესის დაცვით დაემატა დრის წესრიგს ბიუროს სხდომაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** („ქართული ოცნება“): 176 ათასი ლარი პატარა თანხა არაა, რამდენია ფართი?

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** 811 კვადრატია